ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3303610

ნომერი: AR1505231

თარიღი : 19.05.2017

გაცემის თარიღი : 09.06.2017

გაცნობის თარიღი : 09.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარაბდა , N 6 / ქალაქი თბილისი , ქუჩა შატბერაშვილი , N 38-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა შატბერაშვილი , N 40 / ქალაქი თბილისი , ქუჩა შატბერაშვილი , N 42 / ქალაქი თბილისი , ქუჩა შატბერაშვილი , N 42-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა შატბერაშვილი , N 44 / ქალაქი თბილისი , ქუჩა შატბერაშვილი , N 38 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ავჟანდაძე პ/ნ 01008026064
- თბილისი კ.კეკელიძის ქ. N 19 ბ. 32

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016

წლის 19 ივლისის №2719730 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 19 მაისის №AR1505231 განცხადებით მომართა მოქ. ნინო ავჟანდაძემ და მოითხოვა სამსახურის 2016 წლის 19 ივლისის №2719730 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 19 ივლისის №2719730 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, მარაბდის ქუჩა N 6-ში /ქალაქი თბილისი, შატბერაშვილი ქუჩა N 38-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, შატბერაშვილი ქუჩა N40-ში/ ქალაქი თბილისი, შატბერაშვილი ქუჩა N 42-ში / ქალაქი თბილისი, შატბერაშვილი ქუჩა N 42-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, შატბერაშვილი ქუჩა N44-ში / ქალაქი თბილისი, შატბერაშვილი ქუჩა N 38-ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ: №01.14.11.065.060, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ტექნიკური-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად მითითებულია 1081.5 კვ.მ ნაცვლად 1073 კვ.მ-სა, საზაფხულო ფართობად მითითებულია 301.1 კვ.მ ნაცვლად 312.3 კვ.მ-სა, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად მითითებულია 180.0 კვ.მ ნაცვლად 204.6 კვ.მ-სა, დამხმარე ფართობად მითითებულია 123.8 კვ.მ ნაცვლად 105.4 კვმ-სა, საერთო ფართობად მითითებულია 2005.1 კვ.მ ნაცვლად 2014 კვ.მ-სა.
სამსახურმა 2017 წლის 19 მაისის №AR1505231 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული მოთხოვნა შეადარა 2016 წლის 19 ივლისის №2719730 ბრძანებით შეთანხმებულ პროექტის სამშენებლო დოკუმენტაციას და სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და 2016 წლის 19 ივლისის №2719730 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 19 ივლისის №2719730 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად მიეთითოს 1073 კვ.მ, საზაფხულო ფართობად მიეთითოს 312.3 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად მიეთითოს 204.6 კვ.მ, დამხმარე ფართობად მიეთითოს 105.4 კვ.მ, საერთო ფართობად მიეთითოს 2014 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 19 ივლისის №2719730 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 19 ივლისის №2719730 ბრძანებასთან ერთად ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.